სახელმწიფოს როლი ევროპული კლასტერების ჩამოყალიბებაში

THE ROLE OF THE STATE IN THE FORMATION OF EUROPEAN CLUSTERS

ირმა მახარაშვილი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი
მანანა ბერუაშვილი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
თამარ ლაგვილავა,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

IRMA MAKHARASHVILI,
Doctor of business administration,
Dean of Business Faculty of Caucasus
International University
MANANA BERUASHVILI,
Doctor of business administration
TAMAR LAGVILAVA,
The doctoral student of Georgian
Technical University

ანოტაცია

სტატიაში განიხილება კლასტერების განვითარების ზოგიერთი საკითხი, გარდა ამისა, აღინიშნება, რომ სახელმწიფოსათვისდღეს უმთავრეს საკითხად რჩება საკუთარი ჩარევის დონისა და ხარისხის განსაზღვრა. ავტორებს მიაჩნიათ, რომ მოცემულისაკითხის ირგვლივ წარმართული პოლემიკა შეიძლება დაყვანილ იქნასშეზღუდვისა და შესაძლებლობის ორ ძირითად პრობლემამდე.

ავტორების აზრით, ეროვნული კლასტერული პროგრამები, როგორც წესი, ფინანსდება რამდენიმე წყაროდან. ისინი ხაზს უსვამენ, რომ სტატისტიკის მიხედვით, დაფინანსების ძირითადი წილი ეროვნულ ბიუჯეტ ზემოდისდახუთიდან მხოლოდ ერთიპროგრამა ფინანსდება ევროკავშირის სახსრებით.

გარდა ამისა, სტატიაში ავტორები აყალიბებენ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კლასტერული პოლიტიკის სხვადასხვა სახე ხშირად იქმნება იმისათვის, რომ ევროპული ქვეყნების კერძო სექტორში განვითარდეს ინოვაციები. დაფინანსების პროგრამების მეორე მნიშვნელოვანი მიზნობრივი ჯგუფი სამეცნიერო-კვლევითი სფეროა.

საკვანძო სიტყვები: *კლასტერული პროგრამები, ევროპული ქვეყნების ინოვაციური სექტორები, კლასტერული მოდელი.*

ABSTRACT

The article discusses some issues of clusters and it is also noted that the main issue for the state today is to define the level and quality of their own interference. The authors believe that the phenomenon around this issue can be brought down to two main problems: restriction and possibilities.

According to the authors, national clusters are usually financed from several sources. They emphasize that according to statistics, the main source of funding comes from the national budget and only one program out of five is financed by the EU funds.

In addition, the authors of the article formulate a view that the different form of cluster politics is often create innovations in the private sector of the European countries. The second most important target group of funding programs is the scientific-research fie.

Keywords*: cluster applications, innovative sectors of the European countries, cluster model.*

სახელმწიფოს როლი კლასტერების ჩამოყალიბებაში და მისი მონაწილეობის დონე უკვე არსებულ სისტემაში, არის ხშირად განსახილველ პრობლემათა ნაწილი. ყველაზე დიდი მოწონება ევროპაში დაიმსახურა კ.კატელსის (ch.ketels)

მიდგომამ. იგი არის მ. პორტერის მიმდევარი და ავტორი კვლევებისა ევროპის ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის შედარებითობის შესახებ. მისი კონცეფციის თანახმად:

- სახელმწიფომ არ უნდა შეარჩიოს პოტენციური კლასტერების მონაწილეები, არ უნდა განსაზღვროს განვითარების პრიორიტეტები;
- სახელმწიფოს შეუძლია დააფინანსოს კლასტერები და ინიცირება გაუწიოს მათ;
- სახელმწიფო უნდა მონაწილეობდეს და მზად იყოს შეასრულოს რეკომენდაციები, მხარს უჭერდეს მონაცემების ხელმისაწვდომობას.მიუხედავად ამისა, ყოველი სახელმწიფო თვითონ წყვეტს მისი ამ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხს.

ჩვენი აზრით, განვიხილავთ რა სახელმწიფოს ფუნქციებს სამრეწველო-ინოვაციურ კლასტერების ჩამოყალიბებისა და იდენტიფიკაციის პროცესში, უნდა ავღნიშნოთ მისი, როგორც რეგულატორის , სამმაგი როლი, რომელიც განსაზღვრავს „სამმაგი სპირალის“ ყველა ელემენტებს შორის ურთიერთქმედების წესებს (ანუ თვითსახელმწიფოს, ბიზნესის და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სტრუქტურების).“სამმაგი სპირალი“ არის ინვესტიციების, ინოვაციების განვითარების საიმედო პირობების, ჰორიზონტალურად ორიენტირებული ქსელური ბიზნესსაზოგადოებების და მეწარმის, ანუ საწარმოს მესაკუთრის და სამრეწველო კლასტერების უშუალო მონაწილის განვითარებისა და დაცვის გარანტი.

თეორიამ და პრაქტიკამ, დამაჯერებლად დაადასტურა და დაამტკიცა , რომ კლასტერები უფრო ეფექტურად ვითარდებიან იმ შემთხვევაში, თუ საწყისი ძალისხმევა მიმართული იყო „ქვემოდან-ზემოთ“ და ინიციატივა მოდიოდა თვით მომავალი მონაწილეებისაგან.

ამრიგად, კლასტერების განვითარების საქმეში სახელმწიფოს როლის უმთავრეს საკითხად რჩება მისი ჩარევის დონე და ხარისხი. პოლემიკა მოცემულ საკითხზე შეიძლება დავიყვანოთ ძირითად შეზღუდვაზე და შესაძლებლობაზე-შეზღუდვა იმაში მდგომარეობს, რომ კლასტერები ბუნებრივად ვითარდებიან და არშეიძლება შეიქმნან სახელმწიფოს დახმარებით. შეზღუდვა იმასთანაა დაკავშირებული, რომ კლასტერები ესაა ჰორიზონტალური კავშირების სისტემები, ამიტომ სახელმწიფოსა და ფირმათა შორის ქსელებს შორის ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც იერარქია იერარქიის წინააღმდეგ და აქედან გამომდინარე - არაეფექტურია, აქვე უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მაინც შეუძლია გახდეს სამრეწველო-ინოვაციური ქსელების „სტაბილიზატორი“ იმ მიზნით, რათა შეამციროს ამორფულობის ხარისხი.შეზღუდვა ობიექტური ხასიათისაა, მაშინ როცა კლასტერების ფორმირებას და განვითარებას სჭირდება მნიშვნელოვანი ფინანსები. შესაძლებლობა ამ შემთხვევაში ადვილი განსაჭვრეტია: სახელმწიფოს შეუძლია იყოს აქტიური ინვესტორი, პირველ რიგში, სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურად, ინფრასტრუქტურულად ორიენტირებულ პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ კლასტერების განვითარებას.

მთლიანობაში სახელმწიფოს ჩარევისაგან მიღებული პოტენციური უპირატესობები ზოგადად ხდება სამი სავარაუდო შეცდომის (ან არასრულყოფილების) გამო:

1. ბაზრის არასრულყოფილება ჩავარდნები (Market failure): სახელმწიფოს ჩრევის ძირითადი სადაბუთება, მათ შორის კლასტერების განვითარების პროცესში, არის ევოლუციური პროცესების და კონსტრუქციული ქმედებების შერწყმა.
2. სახელმწიფოს ჩარევის არასრულყოფილება (Government policy failure): არასაკმარისად ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა მოითხოვს მის მოდიფიკაციას და მოქნილი კლასტერული მოდელი ამ შემთხვევაში საშუალებას იძლევა აპრობირებულ იქნეს ბიზნესის მხარდაჭერის ახალი სახელმწიფო ინსტრუმენტები.
3. სისტემის არასრულყოფილება (Systematic failure) სახელმწიფოსა და კერძო ინსტიტუტებს შორის შეთანხმებულობის დარღვევა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

კლასტერების განვითარებისა და მხარდაჭერის ევროპული პროგრამების ჩარჩოებში ფართო გამოყენება ჰპოვეს ისეთმა ზომებმა, როგორებიცაა: ქსელური თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებათა ორგანიზება; მონიტორინგის ჩატარება და ანგარიშების შედგენა; სემინარები და სწავლებები. ყველაზე უფრო კომპლექსურ მიზნებს, რომლებიც მოითხოვენ რეგულარულად

მისაღები ზომების მნიშვნელოვან რაოდენობას, წარმოადგენენ: კლასტერის ექსპანსია; კვლევები, შემუშავებები და ინოვაციები; სავაჭრო თანამშრომლობა.

ამრიგად, ევროპული კლასტერული პროგრამების ყველაზე უფრო გავრცელებული მიზანია კლასტერის ექსპანსია, ხოლო მხარდაჭერის ყველაზე უფრო რეგულარულად გამოყენებადი სახეა ქსელური თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებათა ორგანიზება, რაც ბიზნესის მოცემული მოდელის განვითარების ქსელურ პრინციპს ადასტურებს.

ევროპის სახელმწიფოს ექსპერტები კლასტერული პროგრამების ანალიზისას ძირითადად იყენებენ შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს:

- გეოგრაფიული მოცვა - ეროვნული, რეგიონალური თუ ადგილობრივი პროგრამები;
- პროგრამის ძირითადი მიმართულებები - რას მიეკუთვნება პროგრამა : რეგიონალური განვითარების პოლიტიკას, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკას, სამრეწველო პოლიტიკას თუ პოლიტიკათა კომბინაციას;
- პროგრამის ორიენტირება კლასტერებზე, რომლებიც საკუთარ სასიცოცხლო ციკლის გარკვეულ სტადიაში იმყოფებიან - მიმართულია თუ არა პროგრამები წარმოქმნილ ან უკვე მოწიფულ კლასტერებისკენ და ა.შ.
- პროგრამების ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები - მიმართულია თუ არა ისინი ბიზნეს გაერთიანებისაკენ, სამეცნიერო- კვლევითი სტრუქტურებისაკენ, ტრენინგული და საგანმანათლებლო დაწესებულებებისაკენ, სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებისაკენ თუ კლასტერებში მონაწილეთა რამდენიმე კატეგორიისაკენ;
- შეიძლება თუ არა დავახასიათოთ პროგრამის ორიენტაციის დონე სამეცნიერო კვლევებში როგორც დაბალი, საშუალო ან მაღალი;
- პროგრამის რეგიონთაშორისი ორიენტაცია - შეიცავს თუ არა იგი ტრანსსასაზღვრო ღონისძიებებს;
- კლასტერების შერჩევა - ეფუძნება თუ არა პროგრამები კლასტერებში მონაწილეთა მიერ განცხადებების შეტანის პრინციპით და კლასტერების შერჩევა ეფუძნება თუ არა დაფინანსების პრინციპს „ზემოდან-ქვემოთ“ ან „ქვემოდან-ზემოთ“.

პროგრამათა დიდ უმეტესობას აქვს საერთო ეროვნული მასშტაბი. მუნიციპალური და რეგიონალური პროგრამების რაოდენობა ძალზე მცირეა. მხარდაჭერის ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები ბიზნეს და სამეცნიერო სტრუქტურებია. ამასთან, შერჩევა ხდება, როგორც ქვემოდან-ზემოთ (39 პროგრამა), ისე ზემოდან-ქვემოთ (28 პროგრამა). Oxford Research-ის ექსპერტების დასკვნების მიხედვით, კლასტერები ჯერჯერობით ვერ ასრულებს მნიშვნელოვან როლს ევროპული ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. კლასტერული პოლიტიკები ყალიბდებიან, როგორც ცალკეული დოკუმენტები, ამიტომ იბადება კითხვა იმის შესახებ , თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული კლასტერული პოტენციალი სხვა ეკონომიკური პოლიტიკების და ინიციატივების ჩამოყალიბებისას და შეუძლიათ თუ არა სხვა ეკონომიკურ პოლიტიკებს გახდნენ უფრო ეფექტურები კლასტერული მიდგომის გამოყენებით, რომელიც ერთ-ერთ საყრდენ წერტილს წარმოადგენს.

აღნიშნული კვლევა, რა თქმა უნდა, სასარგებლოა, მაგრამ მას ძირითადად მაინც სტატისტიკური სახე აქვს, ჩვენ კი გვაინტერესებს ევროპაში კლასტერების ფორმირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხობრივი მაჩვენებლები: რა ინსტრუმენტური და ინსტიტუტებია (ანუ ეროვნული კლასტერული ინფრასტრუქტურა), ძირითადი მიზნები, სახელმწიფოს ჩარევის დასაშვები დონე და ხარისხი და ა.შ.

თუ გადავხედავთ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის იერარქიას, შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი დონე:

1. პოლიტიკა. სახელმწიფოები, როგორც წესი, საგანგებო დოკუმენტებში ასახავენ სტრატეგიულ ჩანაფიქრებს (white paper). აუცილებელი არაა ეს დოკუმენტი შეიცავდეს გარკვეულ ინსტრუმენტებს, დაფინანსების ვარიანტებს ან მოვალეობათა გადანაწილებას, მაგრამ მასში დაყენებულია პოლიტიკური მიზნები და განსაზღვრულია მოტივაცია ამა თუ იმ ქმედებების სესასრულებლად;
2. პროგრამა. იმისთვის, რათა განზრახულობიდან რეალურ მოქმედებაზე გადა-

ვიდნენ, ხელისუფლებები აყალიბებენ პროგრამებს ფინანსირების მიმართულების, მოვალეობათა წრის და განსაკუთრებული პირობების განსაზღვრისათვის, რის შემდეგაც შეიძლებელი გახდება სახსრების მიღება;

3. აღმასრულებელი სააგენტო. თითოეული პროგრამის შესრულება არის სახელმწიფოს სააგენტოს ან სამინისტროს პასუხისმგებლობა. ამასთან, პროგრამა შეიძლება იყოს როგორც მათი საქმიანობის ძირითადი სახე, ისე სააგენტოს საქმიანობის მცირე ნაწილი.

ეროვნული კლასტერული პროგრამები, როგორც წესი, ფინანსირდებიან რამდენიმე წყაროდან, მაგრამ სტატისტიკის მიხედვით, დაფინანსების ძირითადი წილი მაინც ეროვნულ ბიუჯეტზე მოდის და მხოლოდ ხუთიდან ერთი პროგრამა ფინანსირდება ევროკავშირის სახსრებით.

ასე, რომ პრაქტიკულად ყველა ევროპულ პროგრმას დაფინანსების შიდა მიზნობრივ ჯგუფებში გააჩნიათ კერძო ბიზნესი. ამრიგად, კლასტერული პოლიტიკები ხშირად იქმნებიან იმისათვის, რათა ევროპული ქვეყნების კერძო სექტორში განვითარდეს ინოვაციები. დაფინანსების პროგრამების მეორე მნიშვნელოვანი მიზნობრივი ჯგუფი კვლევითი ინსტიტუტებია. 60-დან 40 მათგანი და მხოლოდ ევროპული პროგრამების მცირე ნაწილს შეადგენენ საგანმანათლებლო დაწესებულებები და სახელმწიფო სტრუქტურები.

ლიტერატურა/REFERENCES

[1]. **ე.ბარათაშვილი, ნ. ნადარეიშვილი, ნ. ძიძიკაშვილი,** კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ №9 და №10, 2007.

[2]. **ე.ბარათაშვილი, ნ.ფარესაშვილი, თ.აბრალავა,** „კლასტერი, როგორც კონკურენტუნარიანობის მართვის ინსტრუმენტი“, ჟურნალი „ეკონომიკა“, 1-2, 2011.

[3]. **ე. ბარათაშვილი, ნ. ფარესაშვილი, თ. აბრალავა** - ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა, 2012.

[4]. **Руднева, П.С**. Опит создания структурных кластеров в развитих странах (Элекронный ресурс)// Экономика региона. 2007. №18. Ч. 2 (декабрь) Режим доступа: http//journal.vlsu.ru

[5]. **Соколенко, С.И**. Производственные системы глобализации: Сети. Альянсы. Партнерства. Кластеры: украинский контекст. Киев: Логос. 2002.

[6]. Малыйкластер - новая форма предпринимательского объединения (электронный ресурс). Режим доступа: http:// www.unice.org